განმარტებითი ბარათი

ონის მუნიციპალიტეტის 2024 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებების
შეტანის შესახებ

ონის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტში საჭიროა მოხდეს შემდეგი სახის ცვლილება, კერძოდ:

1) გაიზარდოს როგორ შემოსულობების გრანტების მუხლი, ასევე გადასახდელები 525 755 ლარით, კერძოდ: „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან“ საქართველოს მთავრობის განკარგულების 28/12/2023 წლის N2402 განკარგულების ცვლილების ფარგლებში შემცირებული იქნას შემდეგი სამუშაოები: ქალაქ ონში აგრალური ბაზრის მშენებლობა (II ეტაპი) 570 001 ლარით, სოფელ პატარა ღებში სასმელი წყლის სისტემის მოწყობის სამუშაო 304 897 ლარით, სოფელ ჟაშქვის გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით III ეტაპი 144 500 ლარით, სოფელ შეუბნის გზის რეაბილიტაცია (II ეტაპი) 47 500 ლარით, სოფელ გლოლაში არსებული სასაფლაოებამდე მისასვლელი ბილიკების კეთილმოწყობა 76 000 ლარით, სოფელ პატარა ღებში გზის რეაბილიტაცია 1 485 ლარით, ხოლო ამავე განკარგულების ფარგლებში გაზრდილი იქნას შემდეგი სამუშოები: ლაგვანთა-საკაო-მაჟიეთი-ხიდეშლები გზის რეაბილიტაცია (ასფალტო-ბეტონის საფარი) 1 517 768 ლარით, სოფელ უწერაში გზის რეაბილიტაცია (ასფალტო-ბეტონის საფარი) II ეტაპი 61 750 ლარით, სოფელ ფარახეთში გზის რეაბილიტაცია (ასფალტო-ბეტონი) IV ეტაპი 75 620 ლარით, ქალაქ ონში მოედნის ტერიტორიაზე არსებულ სასაფლაოებამდე მისასვლელი გზის რეაბილიტაცია 15 000 ლარით.

2) საქართველოს მთავრობის განკარგულებით განსაზღვრული პროექტების თანადაფინანსების თანხა შემცირებული იქნას შემდეგი სამუშაოები: ქალაქ ონში მოედნის ტერიტორიაზე არსებულ სასაფლაოებამდე მისასვლელი გზის რეაბილიტაცია 24 001 ლარით, ქალაქ ონში აგრალური ბაზრის მშენებლობა (II ეტაპი) 20 499 ლარით, სოფელ პატარა ღებში სასმელი წყლის სისტემის მოწყობის სამუშაო 34 735 ლარით, სოფელ ჟაშქვის გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით III ეტაპი 5 500 ლარით, სოფელ შეუბნის გზის რეაბილიტაცია (II ეტაპი) 2 500 ლარით, სოფელ გლოლაში არსებული სასაფლაოებამდე მისასვლელი ბილიკების კეთილმოწყობა 4 000 ლარით, ხოლო გაზრდილი იქნას შემდეგი სამუშოები: ლაგვანთა-საკაო-მაჟიეთი-ხიდეშლები გზის რეაბილიტაცია (ასფალტო-ბეტონის საფარი) 79 883 ლარით, სოფელ უწერაში გზის რეაბილიტაცია (ასფალტო-ბეტონის საფარი) II ეტაპი 858 ლარით, სოფელ ფარახეთში გზის რეაბილიტაცია (ასფალტო-ბეტონი) IV ეტაპი 10 822 ლარით.

3) შემცირებული იქნეს ტენდერიდან დარჩენილი სულ 75 750 ლარის ეკონომიის ფარგლებში შემდეგი სამუშაოები:

ა) ამხანაგობების საცხოვრებელის სახლების რეაბილიტაციიდან - 15 297 ლარი;

ბ) საზოგადოებრივი სივრცეების, სკვერის მოწყობიდან - 6 203 ლარი;

გ) მუნიციპალური ავტოტრანსპორტით მომსახურება - 2 800 ლარი;

დ) ა(ა)იპ წყალმომარაგების ქსელის მოვლა-შენახვის ცენტრის სუბსიდია - 10 000 ლარით;

ე) ა(ა)იპ სამუსიკო სკოლის სუბსიდია - 24 000 ლარით;

ვ) საკრებულოს ოფისის ხარჯიდან - 5000 ლარი, ხოლო კომპიუტერული ტექნიკის შეძენიდან - 1750 ლარი;

ზ) მერიის ბუნებრივი აირის ხარჯიდან - 10 700 ლარი;

4) გაიზარდოს სულ 75 **750** ლარით შემდეგი ხარჯები:

ა) ქალაქ ონისა და სოფელ გლოლის საბავშვო ბაღში სათამაშო მოედნის მოწყობის სამუშოებზე დღგ თანხის დამატება– 11 500 ლარით;
ბ) გარე განათების ელ.ენერგიის ხარჯი – 9 000 ლარით;
გ) ა(ა)იპ კულტურის ცენტრის სუბსიდია - 7 000 ლარი;
დ) ავადმყოფთა სოციალური დაცვა - 9 000 ლარით;
ე) მრავალშვილიან ოჯახების სოციალური დაცვა (შეშის თანხა) - 15 000 ლარით და საახალწლოდ 8 178 ლარი;
ვ) სახალწლო ღონისძიების თანხა (სასაჩუქრე კალათა) – 4 700 ლარით;
ზ) საკრებულოს დეპუტატების ხარჯი - 4 080 ლარით.
თ) მერიის შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურებისათვის - 4 900 ლარით;
ი) სოფელ უწერაში გზის რეაბილიტაციის თანადაფინანსება - 2392 ლარით.

5) გადატანილი იქნას საკრებულოს შრომის ანაზღაურების მუხლიდან 1 680 ლარი საკრებულო შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების ხარჯში.

6) გადატანილი იქნას, ფუნქციონალური და ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით მუნიციპალიტეტის მერის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხები შემდეგი სამუშოებისათვის: ონის მუნიციპალიტეტის მერიასა და ი.მ. „ლერი ბაჯაძეს„ შორის გაფორმებული ხელშეკრულება (სატრანსპორტო საშუალებების რემონტისათვის) 2 100 ლარი; ონის მუნიციპალიტეტის სოფლებში: ზვარეთში, სევაში, ახალ ჩორდში და ჭიორაში არსებულ წყალსადენის ჭაბურღილებზე ჭების მოწყობის სამუშაო 2 744 ლარი; მდ. რიონზე არსებული საავტომობილო ხიდის (შარდომეთის ხიდი) რეაბილიტაციაზე 7 769 ლარი; ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კუთვნილი ავტომანქანის (შკოდა, სახ-ფო ნომერი YI 779 II) ძრავის შეკეთება 2 500 ლარი; ონის მუნიციპალიტეტის კ.შოვში მემორიალის მოსაწყობად ალტერნატიული გზის (ცენტრალური გზიდან მემორიალამდე მისასვლელი) სარეაბილოიტაციო სამუშაოებზე 19 709 ლარი.

7) ნარჩენი თანხები, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან საქართველოს მთავრობის განკარგულება N2475 29/12/2022 წელი ქ. ონის ქუჩების და საზოგადოებრივი სივრცეების რეაბილიტაცია (VII ეტაპი) 0,78 ლარი; ონის მუნიციპალიტეტის სოფლების: საკაო, ლაგვანთა, მაჟიეთსა და ხიდეშლებში საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები (ასფალტო-ბეტონის საფარი) (III ეტაპი) 0,61 ლარი; საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე საქართველოს მთავრობის განკარგულება N1532 13/08/2020 წელი 0,12 ლარი; გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებებზე რეაგირების მიზნით გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიებების შესახებ საქართველოს მთავრობის განკარგულება N2252 15/12/2023 წელი 200 ლარი, სულ 201,51 ლარი დაბრუნებული იქნა ხაზინაში. შესაბამისად აღნიშნული თანხით შემცირებული იქნა წლის დასაწყისში არსებული ნაშთი და გადასახდელებში შესაბამისი ღონისძიებების თანხები.

ონის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტმა შეადგინა 30 007 970 ლარი.

პროექტი შეადგინა: თ. ბროლაშვილი

შემსრულებელი: ნ. მეტრეველი